# სახალხო გაზეთი

№ 402 შაბათი, 17 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 402

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ბიბლიოთეკა БИБЛИОТЕКА Музея Рев. Грузии



ენკენისთვის 18-ს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება

სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრით

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

„საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, მოგვაწოდოს შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში. სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა. გამგეობა სთხოვს შემომწირველთ, შემოწირულების გადაცემის დროს, ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს. (7—1492—6)

„სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.


1709


დ. ყვირილაში

„ორბელის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ახალი კლუბი

ორშაბათს, 19 ენკენისთვეს 1911 წ. საღამოს 7 ს. დანიშნულია

მეორე საგანგებო საზოგადო კრება

ახალი კლუბის წევრთა, ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 12 ენკენისთვეს და რომელიც არ შესდგა. (3—1432—2)

ა. შ ნუციშვილის

„შვების თავადი“

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ.“ ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან.

საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—5)


ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ მისი გულმოკლული მეუღლე, შვილები და და. პანაშვიდები ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე, ბორჯომის ქუჩა, № 17. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. (1 1507.1)


საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—140)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ. ე—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

დუმბაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედ. დაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშთარევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათი. საფასურით. (წ.—1089—161)

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 17 ენკენისთვეს,

„ახალი კლუბის“ ბაღში დაუკრავს

სიმებიანი მუსიკა და საზანდარი.

სტუმრები გადაიხდიან: კაცი 50 კ., ქალ. და სტუდენ. 25 კ. (1.1432.1)

კვირას, 18 ამა თვეს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოწვეულია

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების

„მომავალი“-ს საგანგებო კრება.

განსარჩევი შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, 2. განხილვა ანგარიშებისა, 3. დაწყება მოქმედებისა, 4. განხილვა გამგეობის მიერ წამოყენებულ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოქმედებისა და 5. დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა. კრება გაიხსნება ნაშუადღევის 2 საათზე. აქვე შეუძლიან მსურველს წევრად ჩაწერა და კრებაზე მონაწილეობის მიღება.

(2.829.1) საზოგადოების გამგეობა.

ზუბალაშვილ. სახალხო სახლი

კვირას, 18 ენკენისთ., შუადღ. 12 ს.,

ნაფიც ვექილის თანაშემწე

დ. კ. გეპეშტეინი

წაიკითხავს ლექციას

„შორს როდენბას

და მისი ქმნილება“.

ლექციის შემდეგ სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება, სადაც მონაწილეობენ ქ-ნი დავითლოვისა, ბ-ნნი აბაშელი, ადამიძე, აზოსპირალი, ი. ბარათაშვილი, ბებიაშვილი, გულისაშვილი, ქურიშვილი, ჩუბინაშვილი და მატარაძე.

ლოტბარი ი. გ. ქართველიშვილი.

(2.1506.1) ადმინისტრატ. ცინცაძე.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მიონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვიშნიროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელსონისა—ქალ. ავად., ორშაბა ..., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყაზაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—97)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—108)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.2)






(25—1456—15)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშთარევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წ.—1090—159)

ექიმი ე. გ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 1? (...—136)

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად, მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ... (...)

ექიმი ივ. გომართელი.

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—4)

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., გულისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—27

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—29)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.


## ადგილობრივი პრესა

„თემი“-ს პოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, „მნათობსაც“ მოეწონა. ამ რიგად, ეხლა ინტერნაციონალურ ბაიათს სამი გაზეთი ამბობს: „ტიფლ. ლისტოკი“, „მნათობი“ და „თემი“.

„ამნაირად ჩვენ ვხედავთ,—სწერს „მნათობი“,—რომ „თემი“ ერთიანად საპროგრამო ნიადაგზე ბრძოლის მომხრეა და ასეთ პრინციპის გაბატონებას აწერს დემოკრატიის ენერგიას. მაშასადამე ყველა, ვისაც შოვინიზმის ალაგმვა სურს საბოლოოდ ამ ნიადაგზე უნდა დადგეს და დემოკრატიზმის ინტერესებს ემსახუროს. მაგრამ ასე არ სჩადის ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი, რომელიც „ქართველ ვაჭრებს, ინტელიგენტებს და ზოგიერთ დემოკრატიულ ელემენტებს“ აერთებს „თემი“-ს სიტყვით. ისინი თავის ნაციონალურ პოლიტიკას ვერ გამოსთხოვიან და ამ დროშის ქვეშ სხვებსაც იწოდებენ; ცხადია ამით დღეს გაბატონებულ სომხის ბურჟუაზიასაც სრულს საბუთს აძლევენ თავის ნაციონალისტური პოლიტიკა განაგრძონ. იგინი ამ შემთხვევაში ერთ პრინციპიალურ ნიადაგზე დგანან. გვარტომობაზე აშენებენ თავის სამოქმედო გეგმას. ცხადია, ვინც ებრძვის მეორეთ, ე. ი. სომხის შოვინისტებს, უნდა ებრძოდეს პირველთ, ე. ი. მათ ქართულ გამოცემას. უნდა დაგმობილ იქმნეს ნაციონალური პოლიტიკის წარმოება, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს“.

წინააღმდეგ მოქმედებას „მნათობი“ ულოღიკობას ეძახის. რანაირი ულოღიკობაცაა ასეთი მოქმედება, ეს მშვენივრად დაამტკიცა გუშინდელ ნომერში არჩილ ჯორჯაძემ. მაგრამ ეხლაც არ შეგვიძლიან არ დავუმატოთ, რომ ულოღიკობა ქართველ ამომრჩეველთა გაჩუმება იქნებოდა.

იმასთან, ვინც დღე-მუდამ თავში გცემს, სოლიდარულ კავშირს ვერ დაამყარებ. თუ სომხის ბურჟუაზია ნაციონალურ პოზიციას ადგია, მიუხედავად ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიისა,—რაშიაც „მნათობი“ გვეთანხმება,—საჭიროა ამ ნაციონალიზმთან ბრძოლა არა თეორიებით, არა ლოზუნგებით, არამედ საქმით. საქმით ბრძოლა კი ის იქნება, თუ სომხის ნაციონალისტებს დაუპირისპირებთ ისეთს ძალას, რომელსაც ისინი ანგარიშს გაუწევენ. ინტერნაციონალური პოზიცია „ტიფ. ლისტ.“—„მნათობ“-„თემისა“ ასეთს ძალას ვერ შეჰქმნის, რადგანაც მათი ინტერნაციონალიზმი ხელსაყრელია სომხის ნაციონალისტებისთვის. ასეთია ძალთა განწყობილება ტფილისში, თუ საქმეს ღრმად შევხედავთ და ფრაზეოლოგიით არ დავკმაყოფილდებით. ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირება განსაკუთრებით იმათ აშინებს, ვისაც ერთხელ მოპოვებულ პოზიციის დაკარგვა არა ჰსურს. ამით ისინი პოზიციის გასამაგრებელ საფუძველს ეძებენ და ამ საფუძვლად სწორედ ის ინტერნაციონალიზმი მიაჩნიათ, რომლითაც ავალს უხვევენ ჩვენს ინტერნაციონალისტებს. ეს რომ ასე არ იყოს, ვის მოეჩვენებოდა შოვინიზმად თვით ფაქტი ქართველთა შეკავშირებისა? ფაქტი შეკავშირებისა თავის თავად ხომ ჯერ კიდევ არაფრის მომასწავებელი არის, გარდა იმისა, რომ ქართველებსაც სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საქმეებში? მაგრამ საქმეც ის არის, რომ სომხის ნაციონალისტებს სწორედ ეს ფაქტი აღონებთ, ფაქტი ბუნებრივი, სამართლიანი, მაგრამ მათთვის საზარალო. უკიდურესი დემოკრატიულიც რომ იყოს მოთხოვნილებანი და პროგრამა ქართველ ამომრჩევლებისა, სომხის ნაციონალისტები ამას მაინც ვერ მოითმენენ, რადგანაც მათ იმდენად დემოკრატიზმი არ აინტერესებთ, რამდენად გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალ ელემენტისა—გათვითცნობიერებულ ქართველ ამომრჩეველისა.

ეს არის, რომ ციებ-ცხელებაში აგდებს სომხის ნაციონალისტებს, რომელთაც დღეს, ნებსით თუ უნებლიეთ, სოლიდარობას უცხადებენ „მნათობი“ და „თემი“. ეს სწორედ მათთან სოლიდარობაა, რადგანაც ქართველ ამომრჩეველთა დამარცხება გამარჯვება იქნება არა კეთილდღეობისა და სამართლიანობის თანაბრად განაწილებისა, არამედ სომხის ნაციონალიზმისა...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ ჩვენმა რედაქციამ იტალიიდან სამწუხარო ამბავი მიიღო. აგარაკ სანტა-მარინელაში (რომის მახლობლად) ცნობილი მღვდელი მიქელ თამარაშვილი ზღვაში დამრჩვალა. დაწვრილებით ცნობებსა და ნეკროლოგს ხვალ მოვათავსებთ.

✦ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით სათათბიროში კავკასიის შესახებ კანონ-პროექტი უნდა შეიტანონ. კანონ-პროექტი დროებით-ვალდებულ გლეხთა, ხიზანთა და მემამულეთა ურთიერთობა-დამოკიდებულების მოსპობას ეხება.

✦ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, ქალაქის გამგეობა აცხადებს: ვისაც საქალაქო გადასახადი არ შეუტანია, თუ ჰსურს, მომავალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ დაჰკარგოს, დარჩენილი გადასახადი 19 ოქტომბრამ-

დე მაინც უნდა შეიტანოს, რათა ამომრჩეველთა დამატებითი სიაში მოხვდეს. სასურველია რომ 15 ოქტომბრამდე შეიტანონ გარდასახადებიო—სწერს ქალაქის გამგეობა.

✦ **ნამესტნიკის საბჭოს** დღეს 15 საქმე აქვს განსახილველი. სხვათა შორის, განიხილავს საკითხს იმის შესახებ, მიეცეს თუ არა შემდეგი მსვლელობა საქმეს თელავის მომრიგებელ მოსამართლედ **ნამყოფ** თავ. ნიკოლოოზ გულბაათის ძის ჭავჭავაძისას, მის თარჯიმნის თავ. ვ. ლ. თარხან-მოურავისას და შილდის მამასახლისის ი. დ. გოიშვილისას, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებათ.

✦ **ტფ. სათ.-აზნ. საადგილმამულო ბანკის გამგეობამ** ილიას ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად 2000 მანეთი გადასდო.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ **ილიას ძეგლის ასაგებად** ქ-ნ ქეთევან ჟურულისაგან მიიღო, ქ-ნ ანასტასია ჟურულის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი ილიას ფონდიდან—140 მანეთი.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფ. **ლელიანის** საზოგადოების დადგენილება, **ერთ კლასიან სასწავლებლის გახსნის თაობაზე.**

✦ **ტრამვაის დირექციამ** გუშინ რიყის ქუჩაზე ბევრი მგზავრი ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში. საქმე ის არის, რომ ვაგონები ახლად გაულაქავთ, მაგრამ ლაქის გაშრობისათვის აღარ მოუცდიათ და ისე გაუშვიათ ვაგონები. მგზავრებმა [ეს], რასაკვირველია, არ იცოდნენ და ვაგონში ჩაჯდომის დროს ტანისამოსი დაისვარათ.

✦ **უვარგისი პური.** ამ ბოლო ხანს ტფილისში ძალიან გავრცელდა უვარგისი პურის გამოცხობა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს სანიტარულმა კომისიებმაც. გუშინ ქალაქის მეთერთმეტე უბანში სანიტარულმა კომისიამ ექიმის მირაქოვის მონაწილეობით მეთორნე ლებანიძესთან 3 ფუთი უვარგისი და მწარე პური აღმოაჩინა. ლებანიძემ განაცხადა: ფქვილს ავჭალის ქუჩაზე ვყიდულობ დუქლისკაიას საწყობშიო. კომისიამ ეს საწყობი დაუყოვნებლივ დაათვალიერა და ოთხი ტომარა უვარგისი ფქვილი აღმოაჩინა. დუკლისკაიამ თავის მხრით განაცხადა, ფქვილს ვყიდულობ გერშენფონის საწყობში, პუშკინის პასაჟშიო. კომისიამ ეს ამბავი გუშინ ქალაქის მთავარ სასანიტარო კომისიას აცნობა და სთხოვა, ენერგიული ზომები მიიღოს უვარგის ფქვილის გასაღების წინააღმდეგ.

✦ **უცნობის შეპყრობა.** 16 ივლისს, ყაზანის გუბერნიის ქალაქ ჩისტოპოლიდან ტფილისში ეტაპით ჩამოვიდა უცნობი კაცი, რომელიც მაშინვე შეიპყრეს. მან განაცხადა, ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე ვლადიმერის ძე პეტროვი ვარო. ვინაობის გამოსარკვევად უცნობი მაძებარ პოლიციას გადასცეს. იქ მან განაცხადა, მე პეტროვი არა ვარ და არც ჩემს ნამდვილ გვარს გეტყვით, რადგან უმჯობესია დამსაჯოთ მე, როგორც მოხეტიალე უცნობი კაცი, ვიდრე გამოვამჟღავნო ის მცირე ბოროტ-მოქმედებანი, რომელიც მე საზღვარ-გარედ ჩავიდინეო. ტანსა და ხელებზე, უცნობს სხვა და სხვა ნიშნები აქვს ამოჩრილი: წითელი სხივი, დროშა, ორი ხმალი, გვირგვინი, ორთავიანი არწივი და სხვა... ერთს ადგილას პოლონურად წარწერა აქვს: „თავისუფლება, ძმობა, ერთობა“. მაძებარმა პოლიციამ უცნობის სურათი გადაიღო და სხვადასხვა ქალაქებს შეეკითხა, მაგრამ ვერა გაიგორა. უცნობს სამართალში აძლევენ, როგორც მოხეტიალეს.

✦ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ **„მთხოვალი“**-სა მე-18 ნომერი.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე** გაჭართა სკურუვდოვ მამასახლისი ა. ნ. მილოვი საზღვარგარეთიდან ტფილისს დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ ჩვენმა რედაქციამ საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გადასაცემად მიიღო სპილენძის ძველებური ორი ქართული და ოთხი რუსული ფული.

✦ სკოლის გარედ სწავლის მომწყობ საზოგადოებამ ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ერთდროული დახმარება გაუორკეცოს.

## წვრილი ამბები.

✦ 15 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს 13 უპასპორტო.

✦ **უკვალოდ დაიკარგა** სამების შესახვევში მცხოვრები ბიქტორ გასიკი.

✦ 15 სექტემბერს მტკვარში, ტფ. შოდვის კაზარმების პირდაპირ, **დამხრჩვალი კაცის** გვამი იპოვეს. უცნობს კაზაკის ფორმა ეცვა.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **საზოგადო კლუბში** (ბირჟის დარბაზი), დღეს, საღამოს 8 საათზე, თ. კ. მარქარიანი წაიკითხავს რეფერატს: „ოჯახურ აღზრდის პრინციპები“ რეფერატის შემდეგ ბაასი გაიმართება. ბოლოს კი კლუბის ახალი წევრების არჩევა მოხდება.

✦ **ქ. ს.-სამ. საზოგადოების საბჭოს** გუშინწინდელმა კრებამ, მთელი საღამო გეგმის განხილვას მოანდომა. მომავალი კრება 22 სექტემბრისათვის დაინიშნა.

✦ კვირას 18 ამ თვეს ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში დანიშნულია ტფილისის მომხმარებელი საზოგადოების „მომავალი“-ს **საზოგადო საგანგებო კრება.** კრება ნაშუადღევს 2 საათზე დაიწყება. მსურველთ შეუძლიათ აქავე ჩაწერა და კრებაზე მონაწილეობის მიღება.

✦ 15 სექტემბერს **პირველ კომერციულ სასწავლებელში სკოლის გარედ** სწავლის მომწყობ საზოგადოების წევრების საზოგადო კრება მოხდა. 1910—11 წლის ანგარიშების დამტკიცების შემდეგ, კრებამ დაადგინა: განახლოს პირველ დაწყებითი და საშუალო კურსები, იქირაოს შესაფერი ბინა, ავლაბარში კურსების მოქმედება განაახლოს, კურსებთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოები იქონიოს. პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

✦ 14 სექტემბერს, **ტფილისის ბირჟის დარბაზში,** ა. მილოვის თავმჯდომარეობით საბირჟო კომიტეტის კრება მოხდა, რომელმაც დაადგინა. 1) სავაჭრო ზღვაოსნობის განყოფილების შეკითხვაზე ოდესა-ლონდონის გზის თაობაზე, სასურველად სცნოს ასეთი გზები. 2) 1912 წლიდან სამხრეთ რუსეთის ვაჭრობა მრეწველობის კრებაზე ჩაეწეროს. 3) გერმანიასთან ვაჭრობის ხელშეკრულობის გამო, მოითხოვოს გერმანია-ავსტრიასთან ხელშეკრულობის.

ამის გარდა კრებამ საჭიროდ სცნო საბირჟო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის წარმომადგენელთა კრების საბჭოს განსახილველად წარადგინოს შემდეგი საკითხები: 1) კავკასიის საუღელ-ტეხილო რკინის გზისა; 2) ჯულფა-თავრიზის რკინისგზისა. 3) რკინის გზის საბჭოში საბირჟო წარმომადგენლის დასწრებისა და სხვა.

## ქუთაისი

✦ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას წელს 4500 ფუთი პარკი შეუძენია, ქუთაისის მაზრის სხვა და სხვა ადგილებში. ამხანაგობა ახლა ბამბის ყიდვასაც ჰფიქრობს.

✦ დაბა ანაკლიაში (ზუგდიდის მაზრა), 12 სექტემბერს, **გაიხსნა ფოსტის განყოფილება,** სადაც დეპეშებიც მიიღება. მაგრამ ტექნიკური მხრის მოუწყობლობის გამო, დეპეშები პირველი ფოსტით გაიგზავნება უახლოესს სატელეგრაფო დაწესებულებაში.

✦ **უბედური შემთხვევა.** 14 ენკენისთვეს, გიმნაზიელი ავთანდილ გვარჯალაძე თევზაობის დროს გადავარდა რიონში და დაირჩო, ასათიანის წისქვილის მახლობლად ამოიღეს.

✦ ვ. მალაქიაშვილი სთარგმნის და მალე დაჰბეჭდავს. ლ. ტოლსტოის ახალ პიესა „**ცოცხალი ლეში**“-ს.

✦ **მერკვილაძის რაზმელების საქმე.** 26 სექტემბერს, სოლქოსასამართლოს დარბაზში, კავკასიის სამხედრო სასამართლო გაარჩევს დიდ საქმეს, რომლითაც პასუხისგებაში არიან მიცემული პორფილე პაიჭაძე, კოლია ლოთქიფანიძე, ბესარიონ ნებიერიძე, თენგიზ ჟღენტი, არსენ თოდრია, იგორ ჩიხლაძე, ტრიფონ არაბიძე, ალექსანდრე სვანიძე, ისმაილ ქუმბურიძე მიხეილ ჩუბინიძე. რობაქიძე, საყვარელიძე, ენუქიძე, და სხვები სულ 23 კაცი. ამათ ბრალდებათ რ. ს-დ. პარტიაში მონაწილეობის მიღება 1905-7 წლამდე. არსებულ წყობილების დამხობად დაარსება წითელი რაზმია შეარაღება და მოქმედება, არსებულ წყობილების წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაცია და მრავალი ტერორისტულ აქტის მოხდენა. გამოწვეულია 300-ზე მეტი მოწმე. ბრალდებულთა უმეტესობა მეექვსე წელიწადია ციხეში ზის და 55 კაციდან ბევრი ციხეშივე გარდაცვლილა. ზოგი გაქცეულა. საქმე ერთ თვეს გასტანს. დამცველად გამოწვეულია—სოკოლოვი, ადგილობრივ დამცველებად გამოდიან გიორგაძე, გობეჩია, არდიშვილი და სხვანი.

## გორი

✦ მეჭედლების ქუჩაზე, ყვედობა მეზგრიშვილის სამიკიტნოში, ქეიფობდნენ: გიორგი და გიგოლ მეჭედლიშვილები, აბგარ გეგუარქაყი და ზაქარია ნიაზიშვილი. სამიკიტნოში ძმები ტატე და სანდრო ასლანიშვილები შევიდნენ, რომელთა მოქეიფეებმა ჩხუბი აუტეხეს. ჩხუბის დროს მეტეხეში დასჭრეს სანდრო ასლანიშვილი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ტატე ასლანიშვილი კი მძიმედაა დაჭრილი. დაიჭირა აკრედვე გიორგი მეჭედლიშვილი და გეგუარქაყი.

## პროვინცია

✦ **დ. ყვირილა.** კვირას 18 ენკენისთვეს ყვირილის საკრებულო დარბაზში გაიმართება **სახალხო ლექცია „კოოპერაციის მნიშვნელობაზე“**—ლექციას დაერთობა 69 ბუნდოვანი სურათი კოოპერატიულ ცხოვრებიდან. ლექციას წაიკითხავს ჟურნალ „**კოოპერაციის**“—რედაქტორი **იასონ გაბილაია.** სასურველია დაესწროს რკინის გზის მუშებიც, რომლებისათვის ლექცია უფრო საყურადღებოა.

✦ **ბეჟათუბნის საზოგადოება.** (შორაპნის მაზრა) ამ ბოლო დღეებში აქ საგრძნობლად აცივდა, რაც რასაკვირველია, აზარალებს სიმინდებსა და ყურძენს, მით უმეტეს, რომ წელს აქ მოსავალი ნაგვიანევია. თუმცა ბარად სიმინდი ხმელია, მაგრამ მთა-გორიან ადგილებში ჯერ სიმინდს მარცვალი ისევ ნედლი აქვს. მცხოვრებნი ამ გარემოებამ ძალიან დაალონა, რადგან თუ ასეთმა ამინდებმა გასტანა, უმეტეს ნაწილს 3—4 თვის სარჩოც არ მოუვა.

✦ **დარკვეთი.** ქარხანა-მაღაროებში 12 სექტემბერს დაიწყო მუშაობა, მაგრამ ადმინისტრაციამ კვლავ ახალი განცხადება გააკრა, რითაც აუწყებს ყველას, რომ მუშაობა 15 დღის შემდეგ ისევ შეჩერდებაო. ასეთი განცხადების გაკვრა აქ ჩვეულებად აქვს ადმინისტრაციას, რომ ამით თავიდან აიშოროს მუშების საყვედური, ან 15 დღის ანგარიშის მოთხოვნა. („მნათობი“)

✦ **მინაევის დაჭრის გამო** ბევრს ატუსაღებენ თვით მინაევის ჩაგონებით; დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. („მნათობი“)

✦ **სოფ. საბუზრები** (ტფილისის მაზრა). ტარასა ბედოიძე, ბესო ხაბაძიშვილი, ისაკ მამულაშვილი და სხვანი რიცხვით შვიდი კაცი მატარა თიანეთის საზოგადოების მამასახლისს იაკობ მეხრიძეს თავს დაესხნენ და გაძარცვეს მძინარეს. მეხრიძე სრულიად შეზდა. მძარცველები გაიქცნენ.

✦ **სოფ. ხეთი** (ახალციხის მაზრა). სიძველის გამო აქომ მამედ ოღლის სახლის სახურავი ჩამოინგრა. და პატრონი დაიტანა.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

11 ენკენისთვეს.

კრების გახსნისას თ-დი ს. გ. წერეთელი მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც სურვილი განაცხადეს მისი თ-აზნაურობის წრეში მიღებისა. იგი გაკვირვებულია, რომ აღმოჩნდა 23 კაცი, რომელიც მისი მიღების წინააღმდეგი გახდა. გარდა ამისა,—ამბობს თ-დ. ს. გ. წერეთელი,—გუშინ აქ განუცხადებიათ თ-დ დ. ნიჟარაძეს, ვითომც მე შეუწყნარებელი ზომისათვის მიმემართოს...

თ-დი დ. ო. ნიჟარაძე. შეცდომაში შეუყვანიხართ, მე მაგისთანა არა მითქვამს-რა...

**თავმჯდომარე.** ამასვე ადასტურებს და საქმე ამით თავდება.

**ქუთაისის თავი ი. დ. ჩიქოვანი** აღნიშნავს თავად-აზნაურობის წარსულს ღვაწლს, მის დღევანდელ მდგომარეობას და მოუწოდებს მხარი დაუჭიროს თვითმართველობის მიერ აღძრულ შუამდგომლობას, რომ შავი ზღვის პირი რკინის გზამ ქუთაისზე გამოიაროსო.

კრება ეთანხმება ბ-ნი ჩიქოვანის წინადადებას და ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრავად დეპუტაციას ირჩევს, რომელშიაც მარშლებისა და ქალაქის თავის გარდა თ დი მექი ფაღავა მიიღებს მონაწილეობას.

**თავმჯდომარე.** მორიგი კითხვების განხილვა მოვათავეთ, გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

თ-დი იასონ გელოვანი. ჩვენ გუშინ შევიკრიბეთ, მოლაპარაკების დრო არა გვქონდა. არჩევნების მოხდენას ნუ სჩქარობთ, დრო მოსალაპარაკებლად მოგვეცით, რომ იმავე მდგომარეობაში არ ჩავარდეთ, როგორშიაც ეხლა ვართ.

— დღესვე, დღესვე!—ისმის ხმაურობა.

თ-დი იასონ გელოვანი. ყვირილითა და განგაშით საქმე ვერ გაკეთდება; მიკვირს, რადა ჰსურთ ზოგიერთებს ამ საშუალებით მორიგ კითხვათა გადაწყვეტა. ამისთანა პირობებში შეუძლებლად მიმაჩნია კრებაზე დარჩენა (მიდის).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატები...

— დ. ნიჟარაძე, დ. ნიჟარაძე...

თ-დი ივ. ნიჟარაძე. ვთხოვ თავმჯდომარეს შეეკითხოს მარშლად ნამყოფს, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

**თავმჯდომარე.** შეეკითხება თ-დ ს. დ. და ს. გ. წერეთლებს. პირველი აცხადებს, რომ მან უკვე წარსულ კრებაზედვე უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და ეხლაც იძულებულია ავადმყოფობის გამო უარი სთქვას.

მეორე—თანხმობას აცხადებს.

**თავმჯდომარის** წინადადებით მდივანი კრების წინა ღამით გუბერნატორის მიერ გამოგზავნილ ქაღალდს კითხულობს, საცა იგი აცნობებს თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს,—რადგან ჯერ სენატის გადაწყვეტილება თ-დ ნიჟარაძის შესახებ მიღებული არ არის და გუბერნატორის მიერ 27 აგვისტოს გაგზავნილია სენატში რამდენიმე ბრალდება თ-დ დ. ო. ნიჟარაძის შესახებ მისი მდგომარეობა არ შეცვლილაო.

თ-დი დ. ო. ნიჟარაძე სიტყვას თხოულობს, აღელვება ეტყობა და მდივანს სთხოვს მისი სიტყვები დაწვრილებით აღნიშნოს ოქმში. ასეთისავე თხოვნით პრესის წარმომადგენელთ მიმართავს.

თ-დი დ. ნიჟარაძე. მე მაკვირვებს, რომ გუბერნატორმა ამ სახით ინება აქ წაკითხული ცნობის მოწოდება; სურვილი რომ ჰქონოდა, შეეძლო დეპეშით შეეკითხებოდა სენატის პირველ დეპარტამენტს და საქმის ნამდვილი ვითარება გაეგო; მაგრამ ამ საქმეში ერთი მოხელე მოქმედობს, რომელიც არაფერს ზოგავს რომ ჩირქი მომცხოს და დამამციროს. ამ მოხელემ სასამართლოში აღნიშნა, ვითომც მე ქუთაისში მისულ გუბერნატორებს მისვლისთანავე ვხიბლავდი და რაც მინდოდა, იმას ვაკეთებინებდი; როცა შევეკითხე ნაგუბერნატორალთ — გერშელმანსა და იაზიკოვს, რასაკვირველია, არ დაადასტურეს ხსენებული მოხელის განცხადება და ამ ამბავს სიცრუე

# კრიტიკული შენიშვნები
## „შვების თავადი“
### დრამატიული პოემა ალ. შანშიაშვილისა.

თქვენ სჭვრეტთ პოეტის სულისკვეთებას, რომელიც ამას სახელით მეტყველებს და ჰგრძნობთ, თუ რამდენად უსაფუძვლოა მისდამი მიმართული საყვედური: ჩვენი პოეტი მხოლოდ ზეჰქვეყნიურ სამეფოსკენ მიისწრაფვისო.

საკვირველია ადამიანების ბედი: დროთა ვითარებაში მრავალ-ტანჯულ ცხოვრების წიაღში იბადება ხოლმე დიდებული პიროვნება, რომელიც სინათლისა[კ]ენ მოუწოდებს, თვისს თავს მტლად უდებს მათს საერთო ბედნიერებას, ბრბო კი, უგვანო და გარეწარ პირთა შთაგონებით, რომელნიც თითქოს ქვეყნის დასაბამიდანვე კაცობრიობის მტრად გაჩენილიყვნენ, ასეთ პიროვნებას სდევნის და მწარე სამსალას ასმევს. „ჯვარს აცვი იგი!“—გაიძახიან ეს უგვანონი და ბრბოც სამარცხვინო ძელზე აკრავს თავის მოჰირნახულე და მოამაგე მამულიშვილებს. უმეტეს შემთხვევაში ასეთია ბედი დიდებულ მამულიშვილთა. ტყუილად არ უთქვამთ: „არა არს წინასწარმეტყველი თვის სამშობლოშიო“; ამ მხრივ მრავალტანჯულ და განაწამებულ ებრაელთა ერის ბედია უფრო დამაფიქრებელი: რამდენ ძვირფასს მამულიშვილს მოუსპო მან სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის, რომ იგინი სამშობლოსადმი უღრესის სიყვარულით გამსჭვალულნი მოურიდებლად ამხილებდნენ ყოველივე მათს უკუღმართობას!

ასევე მოექცა ხალხი შვების თავადსაც; მან ავყიასი და მისი დამქაშების ჩაგონებით ზურგი აქცია ამას,—შვების თავადს,—და საშინელ უბედურებაში გაება თავი; მეჩანგურე ხალხის ასეთ მდგომარეობას მოსთქვამს, უდრეკელი მათ დაცემას მოსთქვამს, მათ უბედურებაზე წინასწარმეტყველი ბუნებარი ჰგოდებს, რომელსაც სასოწარკვეთილი ხალხი შეჰღაღადებს და შველასა სთხოვს, მაგრამ რა ჰქნას ბუნებარმა, რომელსაც

„ხალხი მიენდო ცოდვილს შვილს და შეიქმნა თვისი მკვლელი“!

ბოლოს ერის წინაშე თვით შვების თავადი, ამო, წარსდგება და ამხილებს რა მათ უმზგავსო მოქმედებას მოუწოდებს მათ, დაუტოვონ მრუდე გზა და კვლავ მას შეუდგნენ, და იგი მიიყვანს მათ აღთქმის ქვეყანაში. ხალხი მზადაა შესძახოს: „გაუმარჯოს შვების თავადს“, მაგრამ ავყია გესლიანის ენით გაახსენებს ხალხს ათასჯერ განცდილ უბედურებას და კვლავ ამხედრებს ამოს წინააღმდეგ.. ხალხიც, რომელიც ერთი წუთის წინად მზად იყო შვების თავადს გაჰყოლოდა, მზად არის ქვით ჩაჰქოლოს იგი:

„—ჩავქოლოთ! მოვკლათ ეგ მტერი!
ჩვენში აღარა ჩნდებოდეს!
—ხელობს რაცა ადრე მიხთანა*)
სიცოცხლეს ვთხოვებოდეს.
—დავღუპოთ ვინცა დაგვღუპა
ფეხზედ აღარა დგებოდეს“.

რამდენი ასეთი სურათი მოიპოვება კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც თავისს მოჰირნახულე შვილს ერი ქვითა ჰქოლავს. ვაშა პოეტის გამჭრიახობას, რომ ყოველივე ეს სიცხადითა და სწორედ ჰქონია წარმოდგენილი!—ხალხი ბუნებარსა და კილვიას ჩაჰქოლავს, შვების თავადს კი ხელფეხში ბორკილს უყრის.

განდიდება—სიმძულვარეს ექვიც თანა სდევს: ვაი თუ საკმარისად არ ვარ კანდიდებულიო, და ეს გარემოება აჰკნობს ადამიანის სულს, სიცოცხლის ელფერს უკარგავს და მუდამ უკმაყოფილო მდგომარეობაში ამყოფებს, იგიც სცდილობს, რაც შეიძლება ზევით აიწიოს, მაგრამ ხშირად ამ დროს გასწყვეტენ ხოლმე პარკები*) ადამიანის სიცოცხლის ძაფს და ადამიანის გულის ცემაც შესწყდება.

ასე დაემართა მახინჯ ავყიასაც. იგი როდი დასჯერდა, რასაც მიაწწია,

„ყველაზე დიდი მსურს ვიყო,
გრძნობის მთავართა მძლეველი,
მე განვაგებდე ცას—ხმელეთს,
ვიყო ცეცხლისა მრფქვეველი“.

ამბობს იგი, მას ეხლა უკვე ამძიმებს ის მდგომარეობა, რომ მისი ბედნიერება შავის დევისაგან არის დამოკიდებული. ამასთანავე ავყიას მეტის მეტად სწყურიან „მკერდს მიყრდნობილი“ ჰყავდეს ცის ქალწული, ციაგი. ამაოდ ემუდარება იგი შავს დევს, მოაშოროს მის სახეს უშნო ხატება; ხიფათიც ამით სარგებლობს და ავყიას დევის წინააღმდეგ ამხედრებს. ავყია დევს მიწაზე დაანარცხებს და მზადაა გამარჯვება იდღესასწაულოს, მაგრამ მოულოდნელად შავი დევი უვნებლად წამოუდგება და ავყიას მეხს დაატეხს. ავყიას მთელი არსება ქვენა გრძნობათა წუმპეშია ჩაფლული, და მის მახინჯ სულიდან გადმოდენილმა შმორის ნაკადმა თვითონ ავყიავე დაახრჩო.

უნდა აღვიარო, რომ პოეტი ამ დროს ფსიხოლოგიურ მომენტის სინამდვილით გადმოცემის სრულს უნარს იჩენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოემაში სხვა და სხვა ძალებს თითქოს განსაკუთრებული მისსია ჰქონდეთ მიცემული და თვითეული მათგანი აუღელვებლივ ასრულებდეს მას; მაგალითად, ხიფათი ავიღოთ, მისი მოვალეობაა, როგორც ჰვით სახელიც ამტკიცებს, ადამიანი რაიმე სახიფათოს შეჰყაროს და იგიც ბეჯითად ასრულებს ამას. ყოველივე ეს ძველ ხალხთა რწმენას მოკვაგონებს, რომლითაც ბუნების მოვლენანი ორ ნაწილად იყოფოდნენ: ერთნი ადამიანისათვის სასარგებლო საქმეს სჩადიოდნენ, მეორენი კი—საზარალოს.

მაგრამ დაუბრუნდეთ „შვების თავადს“. იგი ხელ-ფეხ დაბორკილი მივატოვეთ. საპყრობილეში ამო საუცხოვო სიზმარსა ჰხედავს: მას ევლინებიან მშვენიერ ასულთა სახით: სიყვარული, მშვენიერება, ხელოვნება, სიმდიდრე, სიბრძნე და თვითეული თვის დარგში უსაზღვრო ბედნიერებისმონიჭებას ჰპირდება.

ამას კი ამ ნეტარ სიზმარშიაც თვისი ერი და ციაგი ახსოვს:

„ჩემს ერს დაცემულს კვლავ აღვადგენ,
და ტყვე მიჯნურიც დამიბრუნდება“.

ერთი სიტყვით, ყოველი ფიქრი და აზრი ამისი მისს დაცემულ ერს დასტრიალებს თავზე. შემდეგ, ამის წინაშე ციაგი გამოჩნდება—პოეტი აქაც მეტად წარმტაცად გადმოგვცემს მათს შეხვედრას. ციაგი გულნატკენია ხალხის მოქმედებით, რადგან მას „სურდა სრულეყო მათი არსება“; სამაგიეროდ კი იხილა „ჭაობი, წუთხით ავსილი, იქ მცხოვრებს სული ეხუთებოდა“, მას სწყუროდა „ნათელი სხივის მოფენა“, მაგრამ „სად შური ფეხს მოიკიდებს, იქ საქმე წმინდა დაითარსება“.

ბოლოს ამის წინაშე სიკვდილი წარსდგება შავი სუდარით და თვისს

*) კურხიავი ჩემია.

*) ძველ რომაელთა ღმერთები, რომელთაგან ერი ართავდნენ ძაფს ადამიანის ცხოვრებისას, ზოლო მეხამე კი ხწყვეტს თავისს დროზე.

უწოდეს; ეს არ იკმარა მან და მისის მეცადინეობით ქუთაისის მაზრის სამხედრო საკრებულოს რევიზია დაინიშნა, რის შემდეგ განვლო 1 ნახ. წელიწადმა. შემდეგ საქმე გადაეცა სენატს. რა განაჩენი გამოიტანა სენატმა, მერე მოგახსენებთ. ახლა კი კვლავ ხსენებულ მოხელეს დავუბრუნდები. ეს მოხელე, როგორც თითონაც განაცხადა სასამართლოში, ყოველთვის სცდილობდა გუბერნატორების წინაშე ჩემი თავი მავნე კაცად ეჩვენებინა და ამ მხრით, მართლა დიდი ნაყოფი გამოიღო მისმა მეცადინეობამ დღევანდელ გუბერნატორთან, რომელიც არაფერს ზოგავს, რომ ზიანი მომცეს რამე. თვითის ქაღალდი, რომელიც აქ წაიკითხეს, თვალსაჩინო საბუთია ჩემი განცხადების დასამტკიცებლად; მაგრამ რა მეთქმის, როცა გენერალი სლაოვოჩინსკი მთელ დასავლეთ საქართველოს უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, შეურაცჰყოფას აყენებს და მთელს ჩვენს ხალხს ავაზაკობას სწამებს. ჩემ ხელთ არის სტატია პალმისა, რომელშიაც მოხსენებულია გუბერნატორის უქვეშევრდომილესი მოხსენების ერთი ადგილი, რომელსაც ეხლავე წავიკითხავ.

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, მცირე ხნით შესწყვიტოთ თქვენი სიტყვა. ეს არის ეხლა მოვიდა დეპეშა მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა, გუშინდელ ჩვენი დეპეშის პასუხად, სადაც იგი მადლობას უცხადებს ქუთაისის თ.-აზნაურობას გუშინდელ დეპეშაში მოხსენებულ გრძნობებისათვის. კითხულობს დეპეშას, რომელსაც კრება ფეხზე ადგომით და ვაშას ძახილით ისმენს.

**თ-დი დ. ნიჟარაძე** კითხულობს „ისტორიულ უწყებაში" მოთავსებულ ცნობებს ქუთაისის გუბერნატორის უქვეშევრდომილეს მოხსენებიდან, სადაც მცხოვრებნი დასავლეთ საქართველოსი ქურდებად, ავაზაკებად არიან დახასიათებულნი.

**თ-დი ნიჟარაძე.** რა გასაკვირველია, რომ ამისთანა დახასიათების შემდეგ, ზომებს ღებულობენ, რომ არ დამამტკიცონ; ერთი ამ ზომათაგანია დღეს მიღებული ქაღალდებიც, რომლითაც სურთ ჩემი კანდიდატურა მოხსნან. რადგანაც ველოდი, ჩემს წინააღმდეგ ზომები იქნებოდა მიღებული, დეპეშით მივმართე სენატს, რათა თავისი განჩინება ჩემ შესახებ გამოეგზავნა. მდივანსა ვთხოვ წაიკითხოს იგი.

მდივანი კითხულობს სენატის განჩინებას, საიდანაც სჩანს, თ-დ ნიჟარაძის აღძრულ საქმის გამო, მას სხვა მოხელეებთან ერთად, რომელნიც ქუთაისის სამხედრო-საკრებულოში სხვადასხვა დროს მსახურებდნენ, შენიშვნა ეძლევათ.

**თ-დი ნიჟარაძე.** ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ბრალი მედება იმ საქმეების გამო, რომელნიც 1905 წ. მოხდა. რაც შეეხება ბ-ნ გუბერნატორის მიერ ახლად აღძრულ საქმეებს, მე წერილობით შევეკითხე და ვითხოვე ეცნობებინათ, თუ რა ბრალსა მდებენ, მაგრამ პასუხი არ მაღირსეს. ყოველ შემთხვევაში ამ ბრალდებას, ვიდრე იგი ცნობილი არ იქნება ასეთად სათანადო დაწესებულებათაგან, ამკრძალავი მნიშვნელობა არ ექნება.

საქმის გარემოება ასეთია და კრებამ განსაჯოს რამდენად საფუძვლიანია ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულ პირთა მოქმედება.

**კნ. ჩიქვაიძე.** გუბერნატორის მიერ მოწოდებული ცნობა გულდასმით მოვისმინე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მას ყოველთვის შეეძლო ცნობა მიეღო, თუ რა გადაწყვეტილებას დაადგა სენატი თ-დ ნიჟარაძის საქმის თაობაზე. არანაკლებ მაკვირვებს ის გარემოებაც, რომ ბ-ნი გუბერნატორი იწერება, —აგვისტოს დამლევს აღძარი საქმეები თ-დ ნიჟარაძის შესახებო. ჩვენ არ ვიცით არც ბრალდების შინაარსი, არც ის, თუ რა თვალით შეჰხედავს მას უმაღლესი სამსჯავრო; ამიტომ ეს საბუთს არ გვაძლევს თ-დი ნიჟარაძის კანდიდატურაზე უარი ვთქვათ. მართალნი არიან ისინი ვინც ამბობენ, ვიდრე გენერალი სლოვოჩინსკი გუბერნატორად არის, თ-დ ნიჟარაძეს მარშლად არ დაამტკიცებენო, მაგრამ ნუ თუ ეს იმისი საბუთია, რომ ჩვენს კანდიდატზე უარი ვთქვათ?!-ეს ხომ არჩევა-კი არა, ძალადობა იქნება!

**თ-დი დ. მიქელაძე.** მადლობის ღირსია თ-დი დ. ნიჟარაძე, რომ გაგვაცნო ის დოკუმენტი, რომლის შესახებ პრესას კრინტიც არ დაუძრავს. უკანასკნელი ვალდებული იყო აღენიშნა ის ცილის წამება, რომელსაც მთელს ერს თავზე ახვევენ. მე ვამბობ „ცილის წამება", რადგან სხვა სახელი ვერ მომიძებნია იმ აზრისათვის, რომელიც მთელს ერს ქურდებად და ავაზაკებად ჰსახავს. ქვეყანაზე არ მოიპოვება ასეთი ერი და რა-ღა ჩვენ დაგვწამეს ასეთი ცილი.

ჩვენ ერობას, ნაფიც მსაჯულთა და სხვა დაწესებულებათა შემოღებას ვითხოვთ, ამავე დროს კი, თურმე, მთავრობის მოხელენი ყოველი სიმახინჯით გვამკობენ. რა გასაკვირველია, ჩვენი თხოვნა დაუკმაყოფილები რჩება. ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს ცილის წამება გავაქარწყლოთ და ამისთვის წინადადება შემომაქვს, ავირჩიოთ საგანგებო დეპუტაცია, რომელიც წარსდგება როგორც ნამესტნიკის ისე მეფის წინაშე, რათა მათ, საქმის ნამდვილი ვითარება აცნობოს.

**თ-დი ერ. გელოვანი**, არა მჯერა, მთავრობა ჩვენზე ასეთის აზრისა იყოს, არც ისა მჯერა, რომ აქ წაკითხული სტრიქონები გუბერნატორის მიერ იყოს დაწერილი და ამიტომ გამორკვევა ამ საქმისა და დეპუტაციის არჩევა, დიდ მნიშვნელოვან და უსაჭიროეს საქმედ მიმაჩნია.

**თ-დი მექი ფალავა.** როდესაც ქურდების მფარველსა და ავაზაკებს გვიწოდებენ, ვალდებულნი ვართ თავი ვიმართლოთ. მეფემ მიიღო ჩვენი უქვეშევრდომილესი გრძნობანი, ამას წაკითხული დეპეშა მოწმობს, და მოხელეების ცნობით-კი ჩვენ ყველანი ქურდების მფარველები გამოვდივართ. საჭიროა დეპუტაციის გაგზავნით ნათელი მოეფინოს ჩვენს მდგომარეობას.

**თ-დი დ. მიქელაძე.** საუკეთესო წარმომადგენელი ქართველი ერისა, რომელსაც ცილსა სწამებენ, ამ შემთხვევაში თ-დი აკაკია, რომელიც დეპუტაციაში უნდა ავირჩიოთ

**თ-დი აკაკი წერეთელი.** მაგ დეპუტაციას თანაგრძნობითაც ვეკიდები და უკუთქმითაც ჩვენი სახელის აღდგენა საჭიროა, მაგრამ თან კიდევაც მეშინიან. ჩვენმა ტფილისელმა მოძმეებმა ისე დააყენეს თავისი საქმე, რომ გუბერნატორის გადაყენებას ახერხებენ; ჩვენკი უბრალო ბოქაულისა გვეშინიან. სულ ორი კვირა ვიყავ საჩხერეში და ასი კაცი მაინც გამათრახა პოლიციამ და როცა ერთმა აზნაურმა თავი გამოიდო, იმასაც მათრახით დაემუქრენ...

**თ-დი მექი ფალავა.** როცა ჩვენმა ძვირფასმა აკაკიმ ითხოვა სიტყვა, გული მომეცა, მეგონა ის გაგვახმნევებდა, გვირჩევდა, ტფილისელი მოძმეებისათვის წაგვებაძა, ის-კი სულ სხვას გვიქადაგებს. გვეუბნება-მეშინიანო; შიში უადგილოა, როცა ჩვენს ეროვნული სახელის აღდგენაზეა ლაპარაკი...

**თ-დი აკაკი** სცდილობს უპასუხოს, მაგრამ მისი სიტყვები აღარ ისმის.

**თ-დი კიტა აბაშიძე.** ჩვენ ორი, ერთმანერთთან დამოუკიდებელი, საგანი გადავაბით. ჩვენი ერის დამამცირებელ მოხელეთა აზრს უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ საშუალებით. ჩვენი გალანძღვა ახალი ამბავი არ არის; არა თუ ჩვენ, რუსეთის საუკეთესო კაცებს ოქმებს უყენებენ, რომ თავიდან მოიშორონ. რაც შეეხება არჩევნებს, ოუ გვინდა რომ თ-აზნაურობის თვით-მართველობა შევირჩინოთ, ნუ ჩავაციედებით ისეთს კაცებს, რომელნიც რამდენჯერმე არ დაგვიმტკიცეს; ავირჩიოთ სხვა კაცები, რომლებიც, ეჭვი არ არის, მოგვეპოვებიან.

**კნ. ჩიქვაიძე.** თანახმა ვარ, თუ დაგვისახელებთ,

კამათი შესწყდა. დეპუტაციაში გარდა მარშლებისა აირჩიეს—თ-დი ოთარ დადეშქელიანი, თ-დი მექი ფალავა და კნ. ნ. ჩიქვაიძე.

ჯერი არჩევნებზე მიდგა. ყუთი დაუდგეს ჯერ თ დ ს. გ. წერეთელს, რომელმაც მიიღო თეთრი 50, შავი—100.

შემდეგ დასდგეს ყუთი თ-დი დ. ო. ნიჟარაძისა და თ-დი ფარ. გ. მიქელაძისა. პირველმა მიიღო თეთრი 113, შავი—32 მეორემ 83 თეთრი, 64—შავი.

თ-დმა დ. ნიჟარაძემ მადლობა გადაუხადა კრებას არჩევისათვის და შემდეგ ამისა ვიცე-გუბერნატორმა კრება დახურა.

# ქართველი მფრინავი

ამ დღეებში საზღვარ გარეთიდან პეტერბურგს დაბრუნდა ახალგაზდა მფრინავი გზათა ინსტიტუტის სტუდენტი მ. ლ. გრიგორაშვილი, რომელიც სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბმა 1911 წლის აპრილს ფრენის შესასწავლად საფრანგეთს—ჟიუვიზიში—გაჰგზავნა. იქ „პიშოფის" სისტემის მანქანაზე ფრენა უნდა შეესწავლა და ამ სისტემის რამდენიმე აპარატი მიეღო. ახალგაზდა მფრინავმა ჩინებულად დაასრულა კურსი. 10 მოწაფეში მან საუკეთესოდ გაათავა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბ. გრიგორაშვილი ამ ჟამად ერთად ერთი პილოტია „პიშოფის" მანქანაზე, მას შემდეგ, რაც სკოლის შეფ-პილოტი, ლანდრონი, ევროპის გარშემო ფრენის დროს დაიღუპა. შესანიშნავ წარმატების გამო გრიგორაშვილი ჟიუვიზის სკოლაში ინსტრუქტორად დანიშნეს, და მას მიანდეს ახალ აპარატების მიღება. გზათა საიმპერატორო ინსტიტუტმა ყველა ეს ღირსება ღირსეულად დააფასა და მას პარიზში ყოფნის დროს ნივთიერი დახმარება კაუწია.

ამ ჟამად ბ. გრიგორაშვილი სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბის სკოლაში მიიწვიეს, სადაც მოწაფეებს „ბლერიოსა", „ფარმანის" და „პიშოფის" მანქანებზე ფრენას ასწავლის.

# სტოლიპინის მოკვლის გამო

„ნოვოე ვრემაა" ამბობს, წინადაც იყო სტოლიპინის მოკვლის განზრახვა, რომელიც სრულიად არ იცის საზოგადოებამ. მოკვლა უნდოდა ერთს სოციალისტ-რევოლიუციონერს, რომელიც დამცველ პოლიციაშიაც მსახურებდა, საქმე ზამთრის სასახლეში უნდა მოეწყო, მაგრამ უბრალო შემთხვევამ ხელი შეუშალა და სტოლიპინი გადარჩაო.

პოლიციას ცნობა მიუღია, ბაგროვის სასჯელის დამტკიცების გამო პეტერბურგში მუშათა კრებები უნდა გაიმართოსო. საერთო ჩხრეკა მოახდინეს და ბევრი დააპატიმრეს. საზოგადოება „ნაუკა"-ში 40 კაცი დააპატიმრეს, მებულკეთა კავშირისაში—20.

ბაგროვის დასჯას კივვის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" შუამდგომლობის თანახმად, მათი წარმომადგენელი დაესწრო.

**საზღვარ-გარეთის რევოლიუციონერთა განცხადება.**

„ჰუმანიტემ" საზღვარ-გარეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა დელეგაციის განცხადება დაჰბეჭდა, რომელიც ამტკიცებს, მთავარს კომიტეტს და მის ხელქვეით ორგანიზაციებს ბაგროვის საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათო.

**სტოლიპინის აზრი.**

ქირურგი დიტრიხს, „ნოვოე ვრემია"-ის კორესპონდენტისთვის სტოლიპინის ნათქვამი გადაუცია ბაგროვზე: „უბედური ადამიანი, მას რუსეთის გაბედნიერება ჰსურდა. ეს მე მის აღგზნებულ თვალში ამოვიკითხეო". სტოლიპინს, თურმე, უნდოდა ეთხოვნა, დამნაშავეს ლმობიერად მოეპყრითო.

**ბაგროვის აზრი.**

ქალაქში ხმა დადის, ბაგროვი ამტკიცებდა, სტოლიპინი სოც.-რევოლუციონერთა პარტიის მონდობილებით კი არ მოვკალ, ჩემი საკუთარი ინიციატივითა და რწმენითაო.

იმასაც ამბობენ, ბაგროვს კულიაბკოს მოკვლა ორჯელ უნდოდა, მაგრამ მისმა მონდობამ მოხიბლაო. სტოლიპინის მოკვლის აზრი თეატრში დაებადაო.

10 სექტემბერს ბაგროვის საქმისთვის ბევრი დაჭერილი გაანთავისუფლეს, ზოგი ციხეში გადაიყვანეს.

# იტალია-ოსმალეთის უთანხმოება

**დეპეშები.**

15 სექტემბერი.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით, აქაური დიპლომატიური წრე ჰფიქრობს, იტალიას უბრალო დათმობა ვერ დააკმაყოფილებს და ტრიპოლისკენ ჯარის შეკრება შესაძლებლად მიაჩნია. სამარი სამზადისი თითქმის გათავდა: იტალიამაც და ოსმალეთმაც იციან სახელმწიფოთა გადაწყვეტილება, ნეიტრალიტეტი დაიცვათო.

ვენა „ნეიე-ფრეიე-პრესსეს" ოსმალეთის ოფიციალურ წყაროებიდან შეუტყვია, ოსმალეთს მხოლოდ მაშინ შეეძლო მოლაპარაკების დაწყება, თუ იტალია პოლიტიკას არ შეეხებოდა და მარტო საეკონომიო საკითხს წამოაყენებდა... პოლიტიკური ინტერესები ოსმალეთის სუვერენობას შეადგენს ტრიპოლიში და ამას არც არავის დაანებებს. უცხოელთა ცხოვრება და მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია. ოსმალეთი მშვიდად ელის რა მოხდება შემდეგ. თუ ტრიპოლიში იტალიამ ჯარი გადასხა, ოსმალეთი ამას ომის საბაბად ჩასთვლის.

**ბერლინი.** იტალიის მთავრობამ პორტას დეპეშა გაუგზავნა, ტრიპოლი და კირენაიკა უნდა დაგვიმერთოთ. ოსმალეთი უნდა ეცადოს, ოტტომანთა წარმომადგენლებმა ტრიპოლიში წინააღმდეგობა არ გაუწიონ. დეპეშაში 24 საათის ვადა არის დანიშნული და პორტას რომ ჩააბარებენ, იმ წუთიდან დაითვლება. ჯერ არ იციან, პორტამ დეპეშა მიიღო თუ არა.

**რომი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ათინის, ბელგრადის, ცეტინიეს, სოფიის და ბუხარესტის მისიას შეატყობინა: რადგან ტრიპოლიში და კირენაიკაში საეკონომიო საქმეების წარმოებას ოსმალეთი ხელს უშლის, რადგან იტალიის ქვეშევრდომთ საფრთხე მოელით, მთავრობამ დაადგინა ძირეულად გადასწყვიტოს ტრიპოლის საკითხი. რანაირიც უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა, მას მაინც ბალკანეთში სტატუს-ქვო და ევროპის ოსმალეთის მდგომარეობის გამტკიცება ჰქონება სარჩულად. იტალიის მთავრობა ბალკანეთში ოსმალეთის წინააღმდეგ მოძრაობას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ სწორედ ეხლა ეცდება იმის [illegible]. ამიტომ იტალიის [illegible] გენდებმა ამას ანგარიში უნდა გაუწიონო.

**სტამბოლი.** იტალიის ულტიმატუმი პორტას ჩააბარეს.

**გაზეთებიდან.**

იტალიის ეკლეს საგანჩრო გემი, რომელიც კი მახლობელ აღმოსავლეთში იყო, ბრძანება მიიღო, უკან დაბრუნდითო. ამ ბრძანებას ტრიპოლის ექსპედიციასთან აქვს კავშირი. პარიზელი ეხლა ტრიპოლის საქმის თაობაზე საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს დე-სელვს მოელაპარაკა. დე-სელვმა უთხრა, თურმე, საფრანგეთის როლი აქ წინანდელ ხელშეკრულებით იხაზღვრებაო. რაკი იტალიამ საფრანგეთს მაროკოში მოქმედების თავისუფლება მისცა, იგიც მიანიჭებს იტალიას ამისთანა თავისუფლებას ტრიპოლიშიო.

ამნაირად, თუ ტრიპოლის ექსპედიცია გამართლდა, საფრანგეთი სრულს ნეიტრალიტეტს დაიცავს.

**ტრიპოლის ოსმალოთა თხოვნა.**

ქალაქის მოურავებმა, ულემებმა, შეიხებმა და ნოტაბლებმა დიდს ვეზირს დეპეშა გაუგზავნეს, სამარი იარაღი და საჭურველი გამოგზავნეთ ჩქარაო. დეპეშაში იმედს გამოსთქვამენ, კაბინეტი ტრიპოლიში იტალიის არაფერს დაუთმობსო. მცხოვრებნი მაინც ეცდებიან დიპლომატთა მოლაპარაკებას ხელი არ შეუშალონო. სტამბოლიდან გამოსული საბარგო გემი „დერნა", სმირნასა და სალონიკს შეიარაღებს 500 ჯარის-კაცის წასაყვანად, რომელნიც ტრიპოლის გარნიზონს გააძლიერებენ.

**ტრიპოლის ვალი.**

ეხლანდელი ტრიპოლის ვალი ბეკირ-სამი სასისხლოს თავს ანებებს,—იტალიელთა მომხრედ მთვლიანო. მის ადგილას ოსმალეთის მთავრობა ვალად ნამუთფს, მარშალ იბრაჰიმს ჰნიშნავს, რომელსაც ტრიპოლიში თითქმის ყველა იცნობს.

**„ტრიბუნას" აზრი.**

„ტრიბუნა" სიცილიაში ჯარის თავმოყრისა და საზოგადოდ სამხედრო მზადების ხმებს ადასტურებს. იგი არც იმას უარჰყოფს, რომ ამ მზადებას ტრიპოლის საკითხთანა აქვს კავშირი. ამ მზადებას ვისიმე დაზარალების და დაპყრობის მიზანი კი არა აქვს, არამედ ოსმალეთში გამოწვეულ ადელებების შედეგიაო.

# უცხოეთი

**ესპანია.**

კანალეხასს უთქვამს: ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს რევოლუციის შიში, მთავრობა მზად არისო.

მადრიდში რამდენიმე ათასი ამშენებელი მუშა გაიფიცა. მათ ასოთ-ამწყობნიც მიემხრნენ. ზოგიერთი გაზეთი მაინც გამოვიდა, რადგან სამხედრო მინისტრმა ასაწყობად ჯარისკაცები გაგზავნა.

გაზეთები ამბობენ, ბარცელონის შეთქმულება, ამოდენა მნიშვნელობას რომ აძლევს მთავრობა, პოლიციის გამოგონილი რომანიაო. მთავრობამ გაფიცვა პროლეტარიატის პეთაურთა დასაპატიმრებლად მოიმიზეზაო.

რესპუბლიკელთა წრეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მათის მეთაურის ალექსანდრე ლერუს საქციელმა. ის თურმე უცბედ საშუალებასა ხმარობდა, რესპუბლიკანელებს მონაწილეობა არ მიეღოთ ესპანიაში გავრცელებულ მოძრაობაში. სოციალისტების პრესა ლერუს „ესპანიელ აზეფად" იხსენიებს.

**ჩინეთი.**

პროვინციიდან შეკვნს ცნობა მოვიდა. ქალაქებში მოძრაობა მოგვპვა, პროვინციებშიაც ჩქარა მოგვპერთო.

ჩენდუში დიდი მოძრაობაა. ყველგან გაჰკრეს პროკლამაციები, მოხელენი და უცხოელნი დაუხოცოთ. რეზერვისები გააძლიერეს. ორი დღის განმავლობაში 45 მეამბოხეს გააგდებინეს თავი,

ხარბინში სინუანის სტუდენტებმა დემონსტრაცია გამართეს. ხელში დროშა ეჭირათ, ასეთის წარწერით: „ჩვენი გაყვანით ხალხს საკვები მიეცით". ტირილით და კივით პრემიერ ცინას სახლს მიადგნენ, სინუანი დაიხსნენ, რკინის გზის ნაციონალიზაციის ჯერჯერობით თავი დაანებეთო.

---

კალთაში განსასვენებლად მოუწოდებს მას. პოეტთან ერთად თითქოსი შეგრძნობდით, რომ ასეც უნდა მომხდარიყო: იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელმაც თვისი ერის საკეთილდღეოდ თავი გასწირა უდროოდ უნდა შეწყვეტილიყო. ჩვენთვის მიუწვდომელ რაღაც კანონის ძალით ყოველი დიდებული საქმე დიდებულსავე მსხვერპლსაც ითხოვს და როდესაც იგი უმანკო სისხლით განიბანება, მაშინ ლა გადმოხეთქს იმ მსალმუნებელ ნაკადულს, რომელიც მრავალტანჯულ კაცობრიობას ოდნავ მაინც დაუყუჩებს დაწყლულებულ იარებს:

„და ეს იქნება აღთქმულ ქვეყნისკენ
ერთი ნაბიჯი, წინ გადადგმული;
დიდ ქმნილებათა ხვედრთა ტანჯვა
მოკვდავ შვილთაგან გამზადებული",

ამბობს პოეტი ციაგის პირით. მერე რამდენი მსხვერპლი შეწირულა საკაცობრიო კეთილდღეობის სამსხვერპლოზე და ვინ იცის კიდევ რამდენი შეიწირება!

„დაე გაიხრწნას გვამი ვნებისა,
ჩვენი „მე" მარად არის უკვდავი",

ეუბნება ციაგი ამოას. ამოც გმირულად ეგებება სიკვდილს, როგორც დიდბუნებოვან ადამიანს შეჰფერის. იგი ერთი წუთითაც კი არ დაფიქრებულა სიკვდილის შიშის წინაშე რადგან მეტ დ წმინდა და შეუბღალავი სინიდისის მატარებელი იყო. სიკვდილისა მხოლოდ იმას ეშინიან ვინც თვისი ცხოვრება გარყვნილებაში გაატარა, თორემ ნათელი სულის პატრონი წყნარად ეგებება უკანასკნელს წუთს. მოუსმინეთ თვით შვების თავადს:

„თქვენ სხეულს მოჰკლავთ, სული ცოცხლობს მარად უკვდავი,
დღეს ტყვედ გყვავართ: მეც და სატრფოც, გვიქადით სიკვდილს,
ქედს არ მოგიხრით, ვერც გაიგებთ თქვენ ჩემგან ჩივილს.
ვიცი ეს მხოლოდ სიზმარია და წარმავალი,
ზეცა მომიხმობს და მომელის სხვა მომავალი".

ეს მომავალი მისგან დაწყებული საქმის—ხალხის კეთილდღეობის გაცისკროვნება და აყვავებაა; ეს მომავალია სიმართლისაგან ბნელის მორევა და ნათელის გაბატონება. დიაღ, „სული სცოცხლობს, მარად უკვდავი"!

ასეთია შანშიაშვილის შვების თავადი; იგი გმირია; გმირი ერის საკეთილდღეოდ თავგანწირული. შეიძლება პოეტს სრულის სიცხადით ვერ ჰყავდეს გამოსახული, შეიძლება პოემას თვისი ნაკლოვანებანიცა აქვნდეს, მაგრამ სრულის რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ამ პოემის შემქნელი, მრავალ სხვა ძვირფასს განძს შესწირავს ჩვენს კაზმულ მწერლობას. პოეტმა შეიძლება პოემის შექმნის დროს სხვა მწერალთა გავლენაც განიცადოს და წვრილმანები სხვა ნაწარმოებიდან ისესხოს, მაგრამ ეს სრულიად არ დაამცირებს პოემას; განა დიდებულმა გიოტემ თვისი „ფაუსტის" დედა აზრი და გმირის სახელიც ვაგნერის თხზულებიდან: „ნამდვილი ისტორია ექიმის ფაუსტის ულმობელ შეცდომათაგან" არ გადმოიღო? ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

დასასრულ პოემის პროლოგში უდრეკელის მიერ გამოთქმული აზრი ღრმად დამაფიქრებელი და საგრძნობელია. მისი კითხვა.

„მაგრამ როდემდის? ადამთა მოდგმას ნუგეშის სხივი სად გაუელვებს?"

მეტად ახლოსაა ჩვენსიან, თითქოს ჩვენ ვეკითხებოდეთ ჩვენს ბედს: „რა არის, რომ მუდამ წამს ტანჯვის ძლიერ სალტას გვარტყავ და თავისუფლად ამოსუნთქვას გვიშლიო?

უეჭველად გაგონდებათ პლატონის მოძღვრება სულის უკვდავებისა: დემიურგმა, როდესაც ადამიანებს სული შეუქმნა, თვითეულს მათგანს გაჩენისათანავე განუმზადა თვისი ვარსკვლავი, სადაც ქვეყნად ხანგრძლივ მიგზაურობის შემდეგ მისი სული დაემკვიდრებოდა. ქვეყნიურ ცხოვრების დროს სულში თან და თან შეიპარა სხეულის გრძნობიერი ელემენტები, რის გამო სული დამძიმდა და მოჩვენებისა და აჩრდილის სახით დაძრწის 1000 წლის განმავლობაში სასაფლაოებსა და ბნელს მიდამოებში. 1000 წლის განმავლობაში კი, იმის და მიხედვით, თუ როგორ გაატარა თვისი ცხოვრება, სული ხან ადამიანის სხეულში და ხან პირუტყვისაში ბინავდება. ასეთ განუწყვეტელ ბინის ცვლის შემდეგ სული თვის ვარსკვლავამდე აღწევს, სადაც სანეტარო ცხოვრებას ეძლევა. ამისათვის პლატონი ნამდვილ მოაზრეთ ურჩევს: ერიდონ ყოველივე მატერიალურსა და გრძნობიერს და მხოლოდ მარადიულსა და ჭეშმარიტ იდეათა სამეფოში ეძიებდეთ სიამოვნებას; მაშინ სული პირდაპირ თვისს ვარსკვლავზე გადასახლდება და იძულებული არ იქნება მრავალი ათასი წლის გამავლობაში იხეტიალოსო.

ჩვენკი, მკითხველო, განვიცდით მრავალ-ტანჯულ ცხოვრება, ტანჯვაშივე სულის დალევა და დასასრულ კი-მარტოოდენ შავი საჭარე!

ალ. წერეთელი.

**ავსტრიის ლანდტაგი.**

7 სექტემბერს ავსტრიის ლანდტაგი გაიხსნა. ლანდმარშალმა თავადმა ალოიზ ლიხტენშტეინმა (ქრისტიანი სოციალისტი) ლანდტაგს ქვემო ავსტრიის ახალ მეფის მოადგილე, ბრემიერად ნამყოფი, ბინერტი გააცნო,

სოციალ-დემოკრატ ლიხტენშტეინისაგან იმპერატორს მიმართ „ვაშას" ძახილს მოელოდნენ, რის გამოც გვიან შეიკრიბნენ.

სოციალ-დემოკრატებმა უკანასკნელი ქუჩის ამბავის თაობაზე შეკითხვა შეიტანეს—მთავრობამ იარაღი რათ იხმარაო.

ქრისტიანმა სოციალისტებმა ბროექტი შეიტანეს, გვირასდაზარალებულთა სასარგებლოდ სამი მილიონი კრონა გადადოთო.

ქრისტიანი სოციალისტები სოც.-დემოკრატებს წამქეზებლობას აბრალებენ, მინისტრ-პრეზიდენტ გაუჩს კი—სოციალ-დემოკრატობას.

სოც.-დემოკრ. შუმეიერი ცხარედ ასურათებს ვენის მუშათა მდგომარეობას, სანოვაგის გაძვირების მიერ გამოწვეულ მათს გაჭირებას. იგი უმეტესად აგრარიებს და ქრისტიან სოციალისტებს აბრალებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან არსებულ წესწყობილების დაცვაში. განსაკუთრებით გაჭრობის მინისტრად ნამყოფ. და დღევანდელ დეპუტატის წინააღმდეგ ილაშქრებს,—აგრარიების ინტერესს თავგამოდებით იცავდა, იაფ ხორცის შემოტანას კრძალავდათ.

სამ სექტემბერს (ახალ. სტ.) ვენაში „წითელ კვირის" მსხვერპლთა დამარხვა იყო. პროცესიაში 40,000 კაცი იღებდა მონაწილეობას, მათს შორის ყველა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი იყო, კუბოებს 700 გვირგვინი ამკობდა. სასაფლაოზე დეპუტატებმა სიტყვა წარმოსთქვეს. წესიერებას მუშები იცავდნენ და არც სადმე დარღვეულა.

# მაროკოს საქმე

**გაზეთებიდან**

გაზეთ „რეჩში" დაბეჭდილია კორესპონდენტის ლაპარაკი ერთს გამოჩენილ პირთან, რომელმაც, თურმე, კარგად იცის მაროკოს საქმე.

—ეხლა ყველამ ვიცით, რომ პარიზი გერმანიის დარაჯობამ მოღალა. გერმანიის სურვილი, განსაკუთრებით შემდეგი იყო: მას უნდოდა მაროკოში ისეთი მდგომარეობა შეექმნა, რომ საქმეში ჩასარევად საბაბის ძებნა არ დასჭირდებოდა. საფრანგეთმა იცოდა ესა და ამიტომ ყოველს მოლაპარაკებას ამ თვალით ჰხედავდა. ჩვენ რასაც დავუთმობთ,—ის ხომ სამუდამოთ მათი იქნება, რადგან პირობაზე გადასვლა და დაპირებულის უკან წაღება არ ვიცითო.—უთქვამს იმ პირსა.

თუმცა საფრანგეთის საზოგადოება ძლიერ მოღელილია, მაგრამ სიდინჯე მაინც შესწევს, მოლაპარაკების ბოლოს დაუცადოს. თუ აქამდე ითმინა, ახლაც მოითმენს.

გერმანიამ ჩვენი მოთხოვნილებათა ჯერ ნახევარი მიიღო. მოთხოვნილებაში რაიმეს გამოტოვება კი შეუძლებელია. ჩვენის თავისუფლების ცოტაოდენი შეზღუდვაც კი ამ თავისუფლებას სრულიად ფასს უკარგავს. გერმანიის მთავრობა ეხლა განსაკუთრებულს ეკონომიო უპირატესობას აღარ გვედავება რადგან ეს საფრანგეთის მეგობარ სახელმწიფოების წინააღმდეგობას გამოიწვევს. ეს დათმობა მაინც საფრანგეთის დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა,

ახლა გერმანია ითხოვს: მთელმა ევროპამ კონტროლი დააწესოს მაროკოს მთავრობის საქმეებისაო. როდესაც მაროკო მილიონებსა და სისხლის ღვრას მოითხოვდა, გერმანიამ სრული თავისუფლება მოგვანიჭა, ახლა კი, როდესაც რკინის გზასა და გამორჩენაზე მიდგა საქმე, მოქმედება არ ესიამოვნება.

სადაო ეს საკითხია: საფრანგეთის დიპლომატია ამ ნიადაგზე სდგას, მტკიცედ და შეურყევლად იცავს ამ პოზიციასაო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** არშევეშეს ხიდზე ავტობუსი სენაში გადავარდა. უბედურების ადგილს მოცურავენი მუშაობდენ ცხრა მკვდარი და ათი დაჭრილი მიიტანეს საავადმყოფოში. ამბობენ, ოთხი წყალმა წაიღოო.

**ვენა** ადმინისტრაციამ ვენის მაგისტრატს მისწერა, ორშაბათს ჩეხელების ყველა დაკეტილი სკოლა გააღეთო.

**ტულონი**. ალლუმის დროს, გიერის კუნძულებთან ნაღმიანი გემი „მუსკეტონი" და „ტრიდანი" ერთმანეთს დაეჯახა „მუსკეტონი" ძლიერ დაზიანდა.

**ასტრაბადი**. მაჰომედ-ალის შეპყრობა ტყუილი გამოდგა, სპარსეთის მთავრობა სცდილობდა თურქმენებისთვის როგორმე დაეჯერებინა შაჰი, მაგრამ ამაოდ.

**თავრიზი**. ორშაბათს შუჯა-უდ-დოულე თავრიზს ოთხის მხრით მოადგა. ბრძოლამ საღამომდე გასტანა, მაგრამ არავინ დამარცხებულა. შუჯა-უდ-დოულეს მხედრებმა ალებული ლოფელი შამშაზენი მიატოვეს და წინანდელს პოზიციებს მიაშურეს. ზარალი მცირეა.

**ტოკიო.** 25 მილიონი იენის ქაღალდის ფული გამოუშვეს. შეიპყრეს მინისტრის თანაშემწის კომაცუს დამჭრელი. იგი რესტორანის მოსამსახურე აღმოჩნდა.

**პეკინი**. გენერალურ შტაბის გამგეობამ სიჩუანს წარმომადგენელი გაჰგზავნა იმის გასაგებად, თუ ჯარმა როგორი მონაწილეობა მიიღო უწესოებაში.

**რეჯიო-დი-კალაბრია**. ქარიშხალმა და ნიაღვარმა ბანიარში ვაგზალი წალეკა. ხმა დადის, 25 კაცი დაიღუპაო. რამდენიმე გვამი იპოვეს.

**თეირანი**. აქ მოსულ ცნობებით ნოუბერანის ახლო სალარ-დოულესა და მთავრობის ჯარის ბრძოლა მოჰხდა. სალარ-დოულეს 400 კაცი მოუკლეს, 200 დაატყვევეს. წაართვეს 7 ზარბაზანი. მან ხამადანისკენ დაიწია.

**რუსეთი.**

**ალექსანდროვსკი**. პავლო-კიჩკასის სასოფლო გამგეობის სახლი გაძარცვეს და 3000 მანეთი წაიღეს.

**სამარა**. დააპატიმრეს ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც გუბერნიაში ბევრი ძარცვა-გლეჯა მოახდინა.

**პეტერბურგი.** გოფმეისტერი ბახმეტიევი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის ელჩად დაინიშნა.

რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულება, რომელიც დამნაშავეთა გაცემას ეხება, გამოაქვეყნეს.

**ოდესა**. უმაღლეს საქალებო კურსების დირექტორად ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი კაზანსკი აირჩიეს.

**იალტა**. ახალი საიმპერატორო სასახლე აკურთხეს.

# თეატრი და ხელოვნება

**სახაზინო თეატრი.** ოპერა. 15 ენკენისთვეს დაიწყო წარმოდგენები სოოპერო არტისტების ამხანაგობამ, რომელსაც ჰმეთაურობს ჩვენი თანამემამულე ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილი. ამხანაგობამ დაიცვა ჩვეულებრივი ტრადიცია და სეზონი გლინკას შესანიშნავის ოპერით. „ცხოვრება მეფისათვის"-თი გახსნა. ზოგადი ხასიათი ამ წარმოდგენისა იმედს იძლევა, რომ ამხანაგობას საკმარისად კარგი მომღერალთა დასი უნდა ჰყავდეს. პირველ წარმოდგენაში თავი გამოიჩინა თითქმის ყველა უმთავრეს როლის აღმასრულებლებმა: სერგეევმა (სუსანინი), პოლევოიმ (საბინინი), კოვილკოვამ (ვანია) და როსტოვსკაიამ (ანტონიდა). განსაკუთრებით თვალსაჩინონი იყვნენ ბ-ნი სერგეევი, რომლის მშვენიერი ხმა ჰხიბლავდა მსმენელს თავისის ძლიერებით, სიმკვეთრით და თანაც გრძნობა მეტყველობით და ქ-ნი—კოველკოვა, რომელსაც ტკბილი, სასიამოვნო ხმა აქვს და შესანიშნავი დიქცია. პოლევოის ხმა მსმენელის ყურადღებას იქცევს, თავისუფლად ადის მაღალ ფარდებამდის და სძლევს ტესიტურის სიძნელეს. ეს არის მხოლოდ, მომღერალი ყანყრატოში ატრიალებს ხმას, და იერს უკარგავს.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ბ-ნ ივ ფალიაშვილი და, რაღა თქმა უნდა, მისმა ნიჭმა და უნარმა სრულიად ნათელჰყო ყველა ის ღირსება გლინკას მუსიკისა, რომლითაც ხსენებული ოპერა სავსეა. ნამეტნავად მშვენივრად იყო აღსრულებული მეორე სურათის საცეკვაო ჰანგები. ეს არის მხოლოდ, ცოტა ბალეტი მოიკვეითებს, მაგრამ იმედია, მისი მეთაურის რომანოვსკის გამოცდილება და ნიჭი მალე შეავსებს ამ ნაკლულოვანებას. არა უჭირდა რა მამაკაცთა ხოროს. ზოგიერთი ხმები, განსაკუთრებით ტენორებისა,—კარგები. ქალთა გუნდი ძალიან დიდია და თვალსაჩინო. ახალი დეკორაცია მეხუთე სურათისა—მონასტერთან—მშვენიერია. ასევე ითქმის ტყის შესახებ. უკანასკნელი სურათი ლიტანიისა—ჩვეულებრივად მოისუსტებდა, რადგანაც ამ სურათის კარგად მოწყობას დიდძალი ხალხი უნდა და შესაფერი სამკაული.

თეატრი ხალხით გაჭედილი იყო. საზოგადოება გულხმიერად მიეგება ყველა მომღერალს, ნამეტნავად კი ძველ ნაცნობებს, ბ-ნ ფალიაშვილს, სერგეევს და როსტოვსკაიას. ფალიაშვილს და როსტოვსკაიას ყვავილების კალათები მიართვეს. ა.

# წერილი რედ. მიმართ

საეკლესიო მუზეუმმა მიიღო შემდეგი ნივთები: დეკ. გიორგი ხელიძისაგან ორი რუსული ხელნაწერი (ერთში თვით მისი აიხზულებებია) და სამი ქართული სიგელი, ბოძებული მეფის გიორგისა, საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იოსებისა; ივანე ქ. კარგარეთლისაგან მძიმე ჯაჭვი (1 ფუთი და 32 გირვ. წონით), რომლითაც თურმე აბამდნენ ჭკუა შეშლილებს და 4 ხელნაწერი, რომელთაგან ერთი ფრიად საყურადღებოა ქორონიკონებით. ზოგიერთი:

ქკ"ს 1566-ს ერთაწმინდას დიდი ჭირი გაჩნდა.

ქკ"ს 1592-ს ჩავიდა სარდალი ქართლს და ბატონი სვიმონ დაიჭირეს.

1612 წ. აქა მოვიდა შაჰაბას ყაენი კახეთს და ბატონი თაიმურაზ ლიხთიმერეთს მორჩა.

1622 წ. აქა ულალტა ქართლის მოურავმან*) ყიზილბაშთ და გაიმარჯვა და ბევრი წინამძღვრები მათი მოსწყვიტა, განჯა დაიჭირა და სხვაცა მრავალი ზიანი უყო და კახი მეფე ურუმიდამ მოიყვანა და ბატონად დასუა.

1749 წ. ამ ქორონიკონზე ქართლი და კახეთი შეიყარა მეფემ ერეკლემ, მეფემ თეიმურაზ, მივიდნენ, ერევანი დაიჭირეს და მამათხან გააქციეს.

ამ უკანასკნელ ქორონიკონს, როგორც იუწყება ქართლის ცხოვრება, მოჰკლეს ყაენი ადილშა და სპარსეთში გამეფება მოინდომა მრავალმა ხანმა, მათ შორის მამათხანმაც. იგი ჩემულობდა ადირბეიჯანის მხარეს და ერევანს შემოებრძოლა. ერევნის ხანმა შემწეობა ითხოვა ერეკლესაგან და მისი მოხარკეობა იკისრა. ქართველებმა (12.000 მეომარი იყო) დაამარცხეს მამათხანი.

მ. ჯანაშვილი.

პატივცემულო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ კნ. ელენე ალექსანდრეს ასულს ბებუთოვისას, რომელმაც კითილ ინება და ს. გურჯაანის წიგნთსაცავ სამკითხველოს შემოსწირა თვრამეტი წიგნი დაკაზმული, რუსეთის გამოჩენილ მწერალთა სხვა და სხვა თხზულებანი.

გურჯაანის წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა.

*) იგულისხმება გიორგი სააკაძე, რომელი თვით იყო მიზეზად შაჰაბაზის მოხვლისა და ქართლ-კახეთის აოხრებისა.


# განცხადებანი

**საბუღალტრო კურსები**

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს.
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.17)

მუხრანის ქარხ.

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაშვილი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევ. რიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეისერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაუგარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელიქიშვილი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

კბ. ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ლ. მ. მინინი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—142

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგთაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ა. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარამეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. ბეგეხტამ-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. გარცეშენკო: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. დარიგებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—183)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩასაბარებლად. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—29)

# ექიმი ალ. სოლოღაშვილი

კბილისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**◄ მშობიარეთათვის ►**

# თავშესაფარი

## ბებია-ქალის

# თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღესა და ღამეს. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—77)

სამკურნალო კაბინეტი

# ექიმ კ. ს. ფონ-ბრტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა,

(ერლიხის „606"-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფებათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.2)

# ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", . . . . ფ. 75 კ. |
| " " " | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . . . . . ფ. 80 კ. |
| B a t o n-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიურ მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

# მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 1 ოქტომბრამდე
# არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-4 წიგნზე

# „წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან" 1901-2 წ."

ფასი ხელის-მომწერთათვის 35 კაპ.

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

# „კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.
ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.
ადრესის გამოცვლა: ქუთაისსა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ბუშაძე

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 3, ტელეფონი № 712,

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი ლოკო

◄ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ—1052—)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# ნ. ვ. აბრაამიანის
# საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4** თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუღალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დაწვრილებით ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა. კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, საქონელთა ცოდნა. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა როთქვე, კალიგრაფია, ხელის გასწორება. მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრა და რემინგტონი.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ გამოგზავნება. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსული ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 447

(2—1445—2)


სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]